ᲡᲐᲒᲐᲖᲗᲝ ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲘ
ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ
ᲩᲔᲛᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ - ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ
№6 / 2014

ᲓᲝᲚᲝᲒᲐᲜᲘ ᲛᲐᲭᲝᲠᲘᲢᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტში ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტს „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“. პროექტის ფარგლებში ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების თემებში საგანმანათლებლო შეხვედრები მიმდინარეობს. შეხვედრებს კონკურსის წესით შერჩეული ადგილობრივი განმანათლებლები ატარებენ.

ვლადიმერ საფარიძე ქედის მუნიციპალიტეტის დოლოგანის ახლადშექმნილი თემის განმანათლებელია. იგი პროფესიით პედაგოგია და დოლოგანის საჯარო სკოლაში მათემატიკას ასწავლის. როგორც სამოქალაქო განათლებითა და მუნიციპალური საკითხებით დაინტერესებული მოქალაქე, მოხალისე განმანათლებლად ჩაერთო პროექტში „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“, რომელსაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ახორციელებს.

„უმაღლესდამთავრებულ ადამიანებს სოფლის მაცხოვრებლები უამრავ შეკითხვას უსვამენ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით არჩევნების თემა აინტერესებთ. საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები დღეისათვის ჩვენს სოფელში მთავარი განსახილველი საკითხია,“- აი მიზეზი, რის გამოც გადაწყვიტა პედაგოგმა ვლადიმერ საფარიძემ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ პროექტში „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ ჩართულიყო და თანასოფლელების ცნობიერება დაეკმაყოფილებინა. როგორც თავად ამბობს, ვიდრე „ინტელექტში“ მოვიდოდა თემის განმანათლებლის პოზიციაზე, დაახლოებით იცოდა, თუ რისი გაკეთება მოუწევდა: „ვიცოდი, რომ მოსახლეობისათვის უნდა მიგვეწოდებინა ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, რა როლი და ფუნქცია აკისრია თითოეულ ამომრჩეველს, რა ცვლილებები შევიდა კანონში... ძალიან ეფექტური და სასარგებლო ტრენინგები ჩაგვიტარდა თვითმმართველობის საკითხებზე და საგანმანათლებლო შეხვედრების ჩატარების მეთოდოლოგიაზე. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ჩემი თემის მოსახლეობის ინტერესი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დავაკმაყოფილე.“

დოლოგანი ერთ-ერთი იმ სოფელთაგანია, სადაც მოსახლეობა მატერიალურ და ინფორმაციულ სიმწირეს ერთდროულად განიცდის. აქ ინფორმაციის ერთადერთი წყარო ტელევიზიაა, სადაც საინფორმაციოზე ხშირად თურქული სერიალებს უყურებენ. გაზეთი სოფელში იშვიათი მოვლენაა და რიცა გამოჩნდება სოფლის ახალგაზრდები სპორტულ სიახლეებს ეცნობიან. ამიტომაც იყო, რომ ვლადიმერ საფარიძის საგანმანათლებლო შეხვედრებს ადგილობრივი მოსახლეობა ინტერესით შეხვდა და ბევრი მათგანი ერთი შეხვედრით არ დაკმაყოფილდა, რამდენიმეს დაეწრო: „სოფელში ინფორმაციის მიტანის საშუალებები ჭირს, ამიტომაც მოსახლეობა ძალიან კმაყოფილი დარჩა საგანმანათლებლო შეხვედრებით. ზოგიერთი რამდენიმე შეხვედრაზე დამესწრო, იქნება ერთ მოსმენაზე რამე გამომრჩა, ბევრჯერ რომ მოვისმენ უფრო მეტს ვისწავლიო. მე რა თქმა უნდა წინააღმდეგობა არ გამიწევია. სოფელში დაახლოებით 200 კომლია და 120 ოჯახის წარმომადგენელს შევხვდი. სხვა თემის განმანათლებლებისგან მესმის, რომ ჯგუფებად მოსახლეობის შეკრება უჭირთ. მე არ გამჭირვებია. როცა თითოეულ უბანში ნაცნობს ვურეკავდი ასეთ საქმეზე მოვდივარ და იქნებ შენი მეზობლები დამახვედრო მეთქი, ყოველთვის იმაზე მეტი ხალხი მხვდებოდა, ვიდრე მოველოდი. პირველ რიგში კანონში შესული ცვლილებები აინტერესებდათ, გამგებლის არჩევაზე აქამდე მოსაზრებები ქონდათ მხოლოდ, რომ გაიგეს, რომ ცვლილებების თანახმად გამგებელი არჩეული იქნება და არა ვინმეს მიერ დანიშნული, გაიხარეს. ვფიქრობ არჩეულ გამგებელს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მხრიდან უფრო მეტი ნდობა ექნება.

ის, რომ საკრებულოს წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მოსახლეობას შეხვდეს და განეული მუშაობის შესახებ ანგარიში უნდა ჩააბაროს, მოსახლეობამ არ იცოდა. მაჟორიტარების სოფელში ვიზიტი და ხალხთან ურთიერთობა აქამდე წინასაარჩევნოდ იწყებოდა და არჩევისთანავე მთავრდებოდა. ახლა, როცა პროექტმა „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ მოგვცა საშუალება კანონში ჩაგვეხედა და საკუთარი უფლებები გაგვეგო, შესაბამისად დავიცავთ კიდეც. განა აქამდე აკრძალული გვქონდა ორგანული კანონის წაკითხვა? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ გლეხს იმდენი საქმე და პრობლემა აქვს, ასეთი რამ თუ სხვამ არ უთხრა, მისთვის სამუდამოდ უცნობი დარჩება. ამიტომაც არის განმანათლებლის როლი შეუცვლელი და უმნიშვნელოვანესი მოსახლეობისათვის. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ საშუალებით უმნიშვნელოვანეს საქმეს აკეთებს საზოგადოების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების საკითხში, რისთვისაც უღრმესი მადლობა მას!“

საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებებიდან განხილვის ერთ-ერთი თემა სოფელ დოლოგანში მუნიციპალიტეტის მომავალი გამგებლის ასაკია. ის ფაქტი, რომ გამგებელი შეიძლება აირჩეს 25 წლის ასაკიდან, ბევრს არ მოწონს. „ადამიანი ცოტა ასაკში უნდა იყოს მუნიციპალიტეტის გამგებლად რომ იმუშაოს,“- ამბობენ დოლოგანში. თავად ბატონი ვლადიმერისთვის კი ეს საკითხი მისაღებია: „რაც უფრო მაღალი იქნებოდა გამგებლის ასაკი კარგი იყო, მაგრამ 25 წელი ნორმალურია. 18 წლისა საშუალო სკოლას ამთავრებს, 4 წელი უმაღლესი განათლების მისაღებად ჭირდება და 3 წელი საკმაო დროა გამოცდილების მისაღებად.“

დოლოგანის მოსახლეობის ინტერესის სფეროში „ლომის წილი“ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ერგება. ის, რომ თითოეულ მათგანს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საკუთარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენასა და განხილვაში, ახლა გაიგეს. ინფორმატორი ამ შემთხვევაშიც ბატონი ვლადიმერია: „პროექტით „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ პასუხი გაეცა მოსახლეობიდან წამოსულ კითხვებს. ხალხი კმაყოფილია და მეც, რადგან შევძელი მათი ინტერესი ნაწილობრივ მაინც დამეკმაყოფილებინა. მსგავსი პროექტების განხორციელება აამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას, რაც მათთვისაც კარგი იქნება და ზოგადად ქვეყნისთვისაც.“

პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ ფარგლებში მოხალისე განმანათლებლობით არასამთავრობო სექტორში ვლადიმერ საფარიძის დებიუტი შედგა. „ეს იყო ჩემთვის პირველი, სასარგებლო და საინტერესო საქმიანობა არასამთავრობო ორგანიზაციაში. ამ პროექტმა კარგი განათლება მომცა სამოქალაქო თვალსაზრისით. რომ არა ამ პროექტში მონაწილეობა, არ წავიკითხავდი საარჩევნო კოდექსს და ორგანულ კანონს მათემატიკოსი. გარდა ამისა ამ პროექტმა საშუალება მომცა ფეხდაფეხ შემომეცალო ჩემი თემი და უფრო ახლოს გავცნობოდი ადგილობრივ მოსახლეობას. მიუხედავად იმისა, რომ როგორც პედაგოგს ყოველდღიური კავშირი მაქვს მოსწავლეების მშობლებთან, მაინც, პროექტმა „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ უფრო მეტად დამაახლოვა.“

არასამთავრობო ორგანიზაციასთან ურთიერთობით ვლადიმერ საფარიძემ ერთი საინტერესო ამბავი გაიგო, რამაც გული დაწყვიტა: დოლოგანის თემს 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მოწვეულ საკრებულოში მაჟორიტარი დეპუტატი არ ეყოლება. მიზეზი ის გახლავთ, რომ თემი არსებობის 18-მდე თვეს ითვლის. საარჩევნო კოდექსის თანახმად კი 4 წელს მაინც უნდა ითვლიდეს, წარმომადგენელი რომ ყავდეს თვითმმართველობის საკრებულოში. მომდევნო 4 წელინადს მაჟორიტარობას მახუნცეთის თემის კანდიდატი გაუწევს, რომელსაც ხმას დოლოგანელებიც მისცემენ (ვიდრე დოლოგანი ცალკე თემად გამოიყოფოდა, მახუნცეთის თემის სოფელი იყო): „მაჟორიტარი რომ არ გვეყოლება არც მე ვიცოდი. ჩვენს სოფელს სურდა კენჭი ეყარა. ოლქში რეგისტრაცია რომ უნდა გაევლო, უარით გამოისტუმრეს. მიზეზიც იქვე აუხსნეს... დიდი სურვილი გვქონდა რომ გვყოლოდა მაჟორიტარი. მახუნცეთის თემი დიდია, სოფლებიც ბევრია. ჩვენს თემში რომ გვყოლოდა მაჟორიტარი დეპუტატი, დაინტერესება უფრო მეტი იქნებოდა ხალხისგან, მოსახლეობის პრობლემებს და ინტერესებს ალბათ ადგილობრივი წარმომადგენელი უფრო მეტად მიიტანდა გულთან. ჩვენი წარმომადგენელი იქნებოდა, ყოველდღიური შეხვედრები ექნებოდა ხალხთან.“

ვლადიმერ საფარიძემ დოლოგანის თემში საინიციატივო ჯგუფი ჩამოაყალიბა, რომელიც სამომავლოდ აქტიურად ჩაერთვება თემის განვითარების საკითხებში.

საგაზეთო ჩანართის გამოსაცემ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“. ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: ᲗᲘᲝᲜᲐ ᲙᲐᲙᲐᲪᲘᲫᲔ

მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 24-16-40, ფაქსი: 24-16-50
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge